

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №9**

ქ. თბილისი

02.11.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:**

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, პროგრამის
დირექტორი, სხდომის მდივანი;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური
ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;

მიხეილ ჩხერიმელი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;

ირაკლი ლარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ლაშა მარგალიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ლაშა ნარისია - შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
2. ფატი შენგელია - შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის უსახერტები (შემდგომში - უსახერტები):

მარიამ დარბაიძე;

თამარ ვალიშვილი;

ირინე ფხავაძე;

ნინო ბოჭორიშვილი;

მადონა გოგობერიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:25 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ. ამავე ნორმის თანახმად, სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა თინათინ ბრეგვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

ა. გორგაძე

1. შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა თამარ ვალიშვილმა, ნინო ბოჭორიშვილმა, ირინე ფხავაძემ და მადონა გოგობერიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით დაწესებულება ახორციელებდა აკადემიურ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზები. მარიამ დარბაიძის განმარტებით, სასწავლო უნივერსიტეტს საავტორიზაციოდ წარმოდგენილი ჰქონდა 5 საბაკალავრო, 3 სამაგისტრო და 1 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.1. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება - აკადემიური საგანმანათლებლო

პროგრამებში შეტანილი ცვლილებები არ არის დამტკიცებული სათანდო წესით. კერძოდ, დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებში და მათში შემავალ სასწავლო კურსების სილაბუსებში შევიდა ცვლილებები, დამტკიცდა აკადემიური საბჭოს ოქმებით, თუმცა ცვლილებები არ არის ასახული აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებში. რიგ შემთხვევებში აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია შპს სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, რომლის უფლებამონაცვლეცაა შპს გრგიოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი.

1.2. სემესტრის ხანგრძლივობა - დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი აკადემიურ პროგრამებზე“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს ოქმი N7, 05.07.2016 წელი), სადაც ასახულია სემესტრის ხანგრძლივობა. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლება არის სემესტრული: შემოდგომის სემესტრი და გაზაფხულის სემესტრი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 21 კვირას. რიგ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის თანხვედრა მოქმედ რეგულაციაში არსებულ კვირების რაოდენობასთან. მაგალითად: „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები გაწერილია 18 კვირაზე.

1.3. შეფასების სისტემა - დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი აკადემიურ პროგრამებზე“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს ოქმი N7, 05.07.2016 წელი), სადაც ასახულია შეფასების სისტემა და კრიტერიუმები. კურსის შუალედური სემესტრული და საბოლოო შეფასების ჯამური ქულა არის 100, რომელიც მოიცავს: შუალედური სემესტრული შეფასება არაუმეტეს 70 ქულა; დასკვნითი გამოცდა - არანაკლებ 30

ქულა. აღსანიშნავია, რომ არც „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აკადემიურ პროგრამებზე“, არც საგანმანათლებლო პროგრამებში და მათში შემავალ სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის ასახული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში“ ასახული ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 სექტემბრიდან. კერძოდ: მუხლი 4. მე-6 პუნქტი: შეფასების თითეულ ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრის შესახებ; მუხლი 4. მე-10 პუნქტი: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში Fx-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდის დანიშვნასთან დაკავშირებით არ არის ასახული დასკვნით გამოცდის შემდეგ 5 დღის ვადაში დამატებითი გამოცდის დანიშვნა;

ასევე, შეფასების კომპონენტები უნიფიცირებულია ყველა პროგრამისათვის და საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ: სასწავლო კურსების უმრავლესობაში მეორე შუალედური გამოცდა ტარდება წერითი ფორმით და სილაბუსებში მითითებულია პრეზენტაციის ფორმატი. პრეზენტაცია მაქსიმუმ 25 ქულიანია, თუმცა სილაბუსებში დაშვებულია უზუსტობა და კომპონენტთა ჯამი შეადგენს 21 ქულას (საკითხის შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა, საკითხის ანალიზი - 6 ქულა, პრეზენტაციის ტექნოლოგია - 5 ქულა);

ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ბუნდოვანია და გაუმჭირვალე. კერძოდ: დასკვნით გამოცდაზე სტუდენტს ეძლევა 3 თეორიული და ერთი პრაქტიკული საკითხი, თითოეული ფასდება 10 ქულით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული და გამიჯნული ამ ორი უკანასკნელის თეორიული და პრაქტიკული საკითხის შეფასებები.

1.4. აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებში „ინგლისური ენა“ B1 - სასწავლო კურსი არის სავალდებულო, მისი შესწავლის ვალდებულება არარელევანტურია იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც B1 დონეზე ინგლისური ენის ფლობა უდასტურდებათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნად ინგლისური ენის ჩაბარებით ან ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით;

1.5. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა - სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში ირკვევა, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტებს არ აქვთ გავლილი პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კურსები: ფარმაცევტული დაწესებულების გაცნობითი პრაქტიკა - მე-4 სემესტრი; სასწავლო პრაქტიკა ფარმაკოგნზიაში - მე-6 სემესტრი; სასწავლო კურსი „სამედიცინო ბიოლოგია“ ისწავლება მე-2 სემესტრში, ხოლო „ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია“ და „ადამიანის ნორმალური ანატომია“ პირველ სემესტრში. აღნიშნულ შემთხვევაში დარღვეულია სწავლების წინაპირობები და შეუძლებელია სწავლის შედეგზე გასვლა;

ასევე, სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული დამატებითი გამოცდების ვადები;

საწარმოო პრაქტიკა ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში (საქარხნო) სილაბუსში - არ არის მითითებილი ფარმაცევტული საწარმოო, საქარხნო ლაბორატორია, სადაც განხორციელდება პრაქტიკის აღნიშნული კურსი. სილაბუსიდან არ ჩანს საკონტაქტო საათების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების განაწილება სემესტრის მიმდინარეობაში სასწავლო კვირების მიხედვით.

ამასთან, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაში ფარმაცევტული მიმართულების სასწავლო კურსების განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი მატერიალური ბაზების მონაწილეობა. აღნიშნული სასწავლო კურსების/კომპონენტის განსახორციელებლად პროგრამაში მითითებულია: ქ. ბათუმში არსებული ფარმაცევტული საწარმო „ჰეკატე“ და ქ. თბილისში არსებული ლაბორატორია „ჯეოლაბი“. დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი ხელშეკრულება ფარმაცევტულ საწარმო ჰეკატესთან“, რომელის მოქმედების ვადა გასულია (ვადა-2016 წლის 25 ივლისამდე), რაც შეეხება ლაბორატორიას „ჯეოლაბს, დაწესებულებამ ხელშეკრულება ვერ წარმოადგინა.



1.6. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“ - პროგრამით სწავლის შედეგები სრულად არ ასახავს პროგრამის შესწავლით მიღწეულ კომპეტენციებს: მაგალითად, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 3 სემესტრის განმავლობაში მეორე უცხო ენის (გერმანული/ფრანგული) სწავლა, თუმცა, შედეგებში (კომუნიკაციის უნარში) მითითებულია მხოლოს მშობლიური და ინგლისური ენები.

1.7. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში „სტომატოლოგია“ საკვალიფიკაციო ნაშრომის სილაბუსში სწავლების საფეხური მითითებულია ბაკალავრიატი. საკვალიფიკაციო ნაშრომის შინაარსში არასწორად არის განსაზღვრული ერთსაფეხურიანი პროგრამის შესაბამისი სწავლების საფეხური და გვხვდება შემდეგი სახის არასწორი ჩანაწერები: „სტუდენტმა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უნდა შეასრულოს სამუშაო“...., კომპეტენციების დაკონკრეტება ხდება საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე“...., მე-7 სემესტრის ბოლოს სტუდენტი ირჩევს საკვალიფიკაციო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელს“, მე-8 სემესტრი ეთმობა ნაშრომის ირგვლივ მასალების გაცნობა-მოპოვებას“;

სასწავლო კომპონენტში „საწარმოო პრაქტიკა ქირურგიულ სტომატოლოგიაში“ - არ არის მითითებული პრაქტიკის ბაზა, სილაბუსიდან არ ჩანს საკონტაქტო საათების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების განაწილება სემესტრის მიმდინარეობაში სასწავლო კვირების მიხედვით. ამასთანავე არ ჩანს შუალედური გამოცდის შეფასების წესი, სწავლის შედეგების მიხედვით სტუდენტი შეძლებს კბილის ამოღებას, ყბა-სახის მიდამოს ტრავმების ქირურგიულ მკურნალობას, თუმცა შეფასების წესის მიხედვით, აღნიშნული პრაქტიკული უნარების შეფასება გათვალისწინებული არ არის.

1.8. ფარმაცევტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ფარმაცევტული ანალიზი“ არსებული სასწავლო გეგმის მიხედვით – სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია 45 კრედიტი, თუმცა პროგრამის სტუქტურაში აღნიშნული სავალდებულო კურსების მოცულობათა ჯამი აღემატება მითითებულს და შეადგენს 60 კრედიტს. კვლევითი კომპონენტისათვის გამოყოფილია 35 კრედიტი, ამ უკანასკნელის ქვეშ მოიაზრება სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მოცულობა წარმოადგენს 30 კრედიტს;

ასევე, რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში საათების განაწილება არ შეესაბამება აღნიშნულს სასწავლო გეგმაში. კერძოდ, სასწავლო კურსების „ინგლისური ენა 1 და 2“ საკონტაქტო საათების განაწილება პროგრამის მიხედვით შემდეგია: 15 სთ სალექციო/ 30 საათი სამუშაო ჯგუფში მუშაობა. თუმცა სილაბუსების მიხედვით, 30 საათი ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობებს და 15 საათი სამუშაო ჯგუფში მუშაობა. შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის გათვალისწინებული დრო სასწავლო გეგმის მიხედვით შეადგენს 6 საათს, სილაბუსების მიხედვით 5 საათს. სასწავლო კურსის „ფარმაკოლოგია-ფარმაკოკინეტიკა“ სასწავლო გეგმაში საკონტაქტო სააუდიტორიო მუშაობის მოცულობა შეადგენს 30 სთ სალექციო კურსი და 15 საათი სამუშაო ჯგუფში მუშაობა. თუმცა სილაბუსის მიხედვით, 15 საათი ეთმობა ლექციებს და 30 საათი სამუშაო ჯგუფში მუშაობას;

სასწავლო კურსების „ინგლისური ენა 1“და „ინგლისური ენა 2“ სილაბუსების თანახმად, კურსების მიზანია მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა ინგლისურ ენაში, რათა მან შეძლოს ფარმაციის სფეროს ინგლისურენოვანი ავტორების ნამუშევრების გამოყენება პროფესიული მიზნებისათვის. იქვე, ძირითად სახელმძღვანელოებად ორივე სილაბუსში მითითებულია ერთიდაიგივე სახელმძღვანელოები - Total English students book elementary, Intermediate vocabulary BJ Thomas, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დასახული მიზნის მიღწევას;

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სემესტრში გათვალისწინებულია საწარმოო

პრაქტიკა 10 კრედიტის მოცულობით, რომელიც უნდა განხორციელდეს თბილისში მდებარე „შპს ივერიაფარმში“, ამ უკანასკნელთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს სტუდენტების გასაუბრების შედეგად მათ შერჩევით მიღებას, მიუხედავად იმისა სასწავლო კომპონენტი სავალდებულოა.

1.9. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა - სასწავლო კურსების „ინგლისური ენა 1“ და „ინგლისური ენა 2“ სილაბუსების თანახმად, კურსების მიზანია მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა ინგლისურ ენაში, რათა მან შეძლოს სფეროს ინგლისურენოვანი ავტორების ნამუშევრების გამოყენება პროფესიული მიზნებისათვის. იქვე, ძირითად სახელმძღვანელოებად ორივე სილაბუსში მითითებულია ერთიდაიგივე სახელმძღვანელოები – Total English students book elementary, Intermediate vocabulary BJ Thomas, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დასახული მიზნის მიღწევას.

1.10. მცირე ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა - სასწავლო კურსების „ინგლისური ენა 1“ და „ინგლისური ენა 2“ სილაბუსების თანახმად, კურსების მიზანია მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა ინგლისურ ენაში, რათა მან შეძლოს ფარმაციის სფეროს ინგლისურენოვანი ავტორების ნამუშევრების გამოყენება პროფესიული მიზნებისათვის. იქვე, ძირითად სახელმძღვანელოებად ორივე სილაბუსში მითითებულია ერთიდაიგივე სახელმძღვანელოები – Total English students book elementary, Intermediate vocabulary BJ Thomas, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დასახული მიზნის მიღწევას.

1.11. დაწესებულებას შემუშავებული და აკადემიური საბჭოს ოქმით (ოქმი N7, 05.05.2016 წელი) დამტკიცებული აქვს დოკუმენტი: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი აკადემიურ პროგრამებზე“, სადაც გაწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. დაწესებულების შინაგანაწესით (მ.35, მ.37; მ.36) დისციპლინური პასუხისმგებლობის საწყის სახით გათვალისწინებულია სტატუსის შეწყვეტა, თუმცა ეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მითითებული არ არის.

1.12. საგანამანთლებლო პროგრამებში სასწავლო გეგმით შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევითი სასწავლო კურსებისთვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ სტუდენტები არჩევანს აკეთებენ სემესტრის დასაწყისში, თუმცა სტუდენტებმა ინტერვიურებისას აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურეს. გარდა ამისა, დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება თუ რა სახით და საშუალებებით ირჩევენ სტუდენტები სასწავლო კურსების დაწესებულებაში არ არსებობს.

1.13. საგანამანთლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში - თავი 11. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება, პუნქტი 11.1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს სთავაზობს ისეთ სასწავლო პროგრამას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმ კვალიფიკაციის მინიჭება, რაც მიიღწეოდა პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩანაწერიდან არ ირკვევა სტდუნეტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, რადგან გაუქმებარია როგორ შეიძლება ორი სხვადახვა პროგრამა ანიჭებდეს ერთი და იგივე კვალიფიკაციას. ასევე გაურკვეველია ჩანაწერი: 11.4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისთანავე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას გაუქმებული პროგრამის ხანგრძლივობაზე და ხელს უწყობს დაწესებულების ფარგლებში სხვა მიმდინარე პროგრამაზე ან სხვა უსდ-ში გადასვლას. პროგრამის

ხანგრძლივობა სტუდენტისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, გაუქმების შემთხვევაში კი ეს ინფორმაცია არაფრის მთქმელია, გარდა ამისა მობილობის პროცესი ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში შესაბამისი პროცედურების შესაბამისად. დაწესებულება ვერანაირად შეუწყობს ხელს და დაეხმარება სტუდენტს მობილობის წესით სხვა უსდ-ში გადასვლაში;

1.14. საგანმანათლებლო პროგრამები ნაწილობრივ ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მოწვეული სპეციალისტების მიერ. კერძოდ: პროფესორი თამაზ ჯანაშია – ასწავლის სასწავლო კურსს „ალერგოლოგიას“, „ნევროლოგიას“ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე. პირადი საქმის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული პიროვნება ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატებს ოტორინოლარინგოლოგიაში და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში – შესაბამისად მას არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ ასწავლის ალერგოლოგია ნევროლოგია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

2.1. დაწესებულების სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პირველი შენობა სარემონტოა. მეორე სასწავლო კორპუსის შენობა გამოუსადეგარია სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. ამ ეტაპზე აღნიშნულ კორპუსში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. აღნიშნულ შენობაში განთავსებულია ქიმიის 2 ლაბორატორია, სადაც სათანადო აღჭურვილობის არასებობის გამო ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება შეუძლებელია (არ არის გამწოვი, დაცული რეაქტივების შენახვის და უტილიზაციის სათანადო პირობები).

2.2. სასწავლო უნივერსიტეტის მირითად შენობაში არ არის საბაზისო, ფარმაცევტული, სტომატოლოგიური და კლინიკური სამედიცინო სასწავლო კურსების სწავლებისათვის თვალსაჩინოებებით, ანატომიური და ჰისტოლოგიური პრეპარატებით, ფანტომებით, აპარატურით აღჭურვილი სასწავლო ოთახები და ლაბორატორიები (ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ბიოქიმიის, ანატომიის, ჰისტოლოგიის, მიკრობიოლოგიის, პათანატომიის).

2.3. ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“ მატერიალური ბაზის დათვალიერებისას, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორ გ. დანელიასთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე ტარდება მხოლოდ სასწავლო კურსის „ორთოპედიული სტომატოლოგია“ მეცადინეობები და მე-10 სემესტრის სასწავლო კურსი „სასწარმოო პრაქტიკა ქირურგიულ სტომატოლოგიაში“. რაც შეეხება სასწავლო კურსების: „თერაპიული სტომატოლოგია“, „ქირურგიული სტომატოლოგია“ და „ბავშვთა ასაკის სტომატოლოგია“, მათი სააუდიტორიო საათები (ლექცია/პრაქტიკული მეცადინებები) ტარდება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო ფართში, რომლის ბაზაზეც სტომატოლოგიური ფანტომებითა და შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტები არ არსებობს.

2.4. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ორივე შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შედგენილია 2011 წელს კერძო მოგანიზაციის მიერ, შემსრულებელის ვიონაობა არ იკითხება.

2.5. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სასწავლო -ადმინისტრაციულ კორპუსში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, რომელიც არ არის აღჭურვილი საჭირო პირველადი სამედიცინო ინვენტარით. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში რექტორის ბრძანებით (2.12.09. N-02/16---2015 წელი) დანიშნულია კომენდანტი. დაწესებულებას მასთან ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული.

2.6. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მეორე შენობაში ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისთვის არ არის უზრუნველყოფილი.

2.7. დაწესებულებასი არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არ

შეესაბამება სასწავლო კურსების შედეგების მისაღწევად საჭირო მოთხოვნებს.

2.8. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ნაწილობრივ გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

2.9. დაწესებულებაში გამოცემული აქტების, რექტორის ბრძანებების, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს ოქმების აღრიცხვა ხორციელდება სასწავლო წლის მიხედვით და არა აკადემიური წლით, მაშინ როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული ერთიანი წესების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით „ბრძანებები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში“, ასევე ამავე ბრძანებულების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით „ოქმები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში“;

2.10. დაწესებულების ვებგვერდი ნაწილობრივ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, კერძოდ დაწესებულების ვებგვერდზე ასახულია არასრული ინფორმაცია.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

3.1. შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში დღეის მდგომრეობით საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულია 118 (ასთვრამეტი) სტუდენტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მე-11 მუხლის გ.ბ. პუნქტის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს: ცხრა საგანმანათლებლო პროგრამაზე - მინიმუმ ერთი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 15 სრული, ასცორებული ან ასისტენტ-პროფესორი.

შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს: კონკურსის წესით არჩეულია 43 (ორმოცდასამი) პროფესორი და ასოცირებული პროფესორი, აქედან - 18 (თვრამეტი) პროფესორი და 25 (ოცდახუთი) ასოცირებული პროფესორი. ვიზიტის მიმდინარეობისას მოხდა სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ მასწავლებელთა ბაზაში გადამოწმება პროფესორთა სხვა უსდ-თან ასოცირების მიზნით. გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: ასოცირებული პროფესორი - როინ მიგრიაული იმავდროულას არჩეულია შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში - ასოცირებულ პროფესორად და შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში - ასოცირებულ პროფესორად. ასოცირებული პროფესორი - მარი მარინაშვილი იმავდროულად არჩეულია შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში - ასოცირებულ პროფესორად და შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემიაში პროფესორის თანამდებობაზე. ასოცირებული პროფესორი - შალვა ქურდაძე იმავდროულად არჩეულია შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში - პროფესორის თანამდებობაზე და შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში - ასოცირებულ პროფესორად.

ასოცირებული პროფესორი - ნაზიბროლა ჩინჩალაძე იმავდროულად არჩეულია შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად და შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად;

3.2. შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები მხოლოდ მოწვეული სპეციალსიტეტის ან მასწავლებელის მიერ. კერძოდ: ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა; ფარმაცეტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამა; სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;

3.3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რექტორის 2014 წლის 5 ივლისის N02/54, 2014 წლის 10 ოქტომბრის N02/10 და 2014 წლის 12 ნოემბრის N02/11 ბრძანებებით ჩატარებულია ღია კონკურსები აკადემიური პერსონალის არჩევის მიზნით. კონკურსი, რომელიც გამოცხადებულია რექტორის ბრძანებით (2014 წლის 5 ივლისის N02/54) არ არის თანხვედრაში მოქმედ კანონმდებლობასთან. აგრეთვე დაწესებულებას აქვს 2014 წლის 30 ივნისის აკადემიური

საბჭოს ოქმი N11-ით დამტკიცებული დებულება - აკადემიური პერსონალის არჩევის წესი, რომელიც აგრეთვე არ არის თანხვედრაში მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, არც დებულებით და არც რექტორის ბრძანებით არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით, მათი დებულების ზოგადი ნაწილის პუნქტი 6-ით ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტიც. მაშინ, როდესაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის იმ დროს მოქმედი რეგულაციით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულიყო მხოლოდ დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. (ძალაშია 2013 წლის 20 სექტემბრიდან). შესაბამისად ზემოთ აღნიშნული კონკურსი არ არის ჩატარებული მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4. დაწესებულების წესდების მიხედვით—ასისტენტ პროფესორი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. თუმცა, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე არჩეულია რამდენიმე პიროვნება – ირაკლი ჭანტურია, თინათინ შენგელია, თამარ ჩიხლაძე, რომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი: შენგელია თინათინს არ გააჩნია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არ უდასტურდება პროფესიული პრაქტიკული გამოდილება სტომატოლოგიაში. ირაკლი ჭანტურიას წარმოდგენილი აქვს 06/611, 30.07.2010წ. დათარიღებული ცნობა, რომ ის არის ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტომატოლოგიის მიმართულების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტს დოქტორანტურის პროგრამა არ გააჩნია. ჩიხლაძე თამარს არ გააჩნია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დამატებით მოახსენა, რომ შენიშვნების ნაწილი, რომელიც ასახული იყო ექსპერტთა დასკვნაში, ასევე ფიქსირდებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა დასკვნაშიც, რომელიც შედგენილი იყო სასწავლო უნივერსიტეტში 2016 წლის 23-26 მაისს განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ ნახსენები ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა დასკვნა გულისხმობდა შემდეგს: დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა გასდიოდა 2016 წლის 3 ნოემბერს, დაწესებულებამ გამოიყენა თებერვლის ფანჯარა, კერძოდ, მას 2016 წლის თებერვალში ჰქონდა წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადი, ცენტრს დაწყებული ჰქონდა წარმოება აღნიშნულ განაცხადზე, 23-26 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში და წინა დასკვნაშიც დაფიქსირებული იყო ექსპერტთა ხარვეზები. დასკვნის მიღების შემდგომ, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეეწყვიტა თებერვლის თვეში წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადზე ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, საბჭო სხდომაზე საკითხის განხილვა აღარ მომხდარა. სასწავლო უნივერსიტეტმა 2016 წლის 3 ნოემბრამდე, კერძოდ ავტორიზაციის 5 წლიანი ვადის ამოწურვამდე კვლავ მომართა ცენტრის საავტორიზაციო განაცხადით. ლაშა მარგიშვილმა განამრტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ წინა დასკვნას. საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა იყვნენ თუ არა ვიზიტზე იგივე ექსპერტები, რომლებაც განახორციელეს დაწესებულებასი ვიზიტი 2016 წლის მაისის თვეში. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა იყო შეცვლილი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები შესული და დამტკიცებული იყო აკადემიური საბჭოს ოქმებით, დადგენილი წესების დაცვით.

სემესტრის ხანგძლივობა ყველა აკადემიურ პროგრამაზე შეადგენდა 21 კვირას. ფარმაციის აკადემიურ პროგრამაზე სილაბუსებში 18 კვირა გაწერილი იყო სააუდიტორიო მეცადინეობების კვირებებით, ხოლო შემდეგ სამ კვირაში, იგულისხმებოდა დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის დარჩენილი დრო, რომლებიც გაწერილი იყო სამართლებრივ აქტებში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად განაცხადის წარდგენა მოხდა პირველ სექტემბრამდე, შეფასებასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები პროგრამებში აისახებოდა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კერძოდ 2016 წლის 28 ოქტომბრის №4 სხდომის ოქმით შეტანილი იყო შემდეგი ცვლილებები: დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს 50%-ით". „სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ პროგრამის სტუდენტმა, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა, უნივერსიტეტში სწავლებას აგრძელებდა მე-3 დონიდან, ხოლო სტუდენტმა, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხო ენა, გარდა ინგლისური ენის სწავლას იწყებდა პირველი დონიდან.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა მუშაობდა მიღევად რეჟიმში, დაწესებულებას მობილობით სტუდენტები არ ჰყავდა მიღებული, ჯამში სულ ირიცხებოდა 6 სტუდენტი. ფარმაცევტული დაწესებულების გაცნობით პრაქტიკას სტუდენტები გადიოდნენ ქალაქ ზუგდიდის მეორე აფთიაქში, ასევე დადებული იყო ხელშეკრულება ფარმაცევტულ საწარმო „ჰეკატესთან“, არსებობდა წინასწარი შეთანხმება ხელშეკრულების გაგრძელებაზე. რაც შეეხებოდა წინაპირობებს, პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტირებულ რეჟიმში და მასში მირეული ცვლილებები არ იყო განხორციელებული. აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი იყო ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი, ქეთი ბარამიძე.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, ასევე, მიღევად რეჟიმში ხორციელდებოდა ინგლისური ფილოლოგის საბაკალავრო პროგრამა. აღნიშნულ პროგრამაზეც არ განხორციელებულა მობილობით სტუდენტების მიღება, კონტინგენტი შედგებოდა 5 სტუდენტისგან. პროგრამით სამი სემეტრის განმავლობაში არჩევითად ისწავლებოდა ფრანგული ან გერმანული ენები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საბაკალავრო პროგრამაც ხორციელდებოდა მიღევად რეჟიმში. აღნიშნულ პროგრამაზეც 5 სტუდენტი ირიცხებოდა და მობილობა არ იყო განხორციელებული. პროგრამის ხელმძღვანელი იყო ზუგდიდში მოქმედი ერთადერთი სტომატოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი დანელია. შესაბამისად, ის უზრუნველყოფდა სტუდენთა სწავლებას კლინიკის ბაზაზე. არსებობდა მასთან გაფორმებული მემორანდუმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ „ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2“ სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი იქნებოდა ფარმაციის სფეროს ინგლისურენოვანი ავტორების ნამუშევრები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და განახლდებოდა სილაბუსები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ფარმაცევტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამაში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, მაგრამ სასწავლო კურსების რაოდენობა შეადგენდა 60 კრედიტს. მემორანდუმი გაფორმებული იყო შპს ივერიაფარმში. აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებდა სტუდენტის გასაუბრების შედეგად შერჩევას. თუ სტუდენტი ვერ გაივლიდა გასაუბრებას, მას მოუწევდა სათანადოდ მომზადება და მომდევნო სემესტრში პრაქტიკის გავლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დაამთავრებდა სამაგისტრო პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე აღნიშნა, რომ მცირე ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსში შესული იყო ცვლილება და მიეთითა სახელმძღვანელო - მენქიუს მაკროეკონომიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო პროცესის მარებულირებელ წესში შევიდა ცვლილება, კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დისციპლინური პასუხისმგებლობის სანქციის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა სტუდენტების მიერ ხდებოდა სემესტრის დასაწყისში, რაც გაწერილი იყო რექტორის ბრძანებით. დაწესებულების პერსონალი არჩევითი სასწავლო კურსების გაცნობით სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევდნენ აერჩიათ მათთვის სასურველი სასწავლო კურსები.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ პირველი კორპუსის გარემონტება გათვალისწინებული იყო მომავალი წლის გაზაფხულიდან, ასევე, მეორე კორპუსში არსებული ქიმიის ლაბორატორია სათანადოდ იქნებოდა აღჭურვილი. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო ოთახები, ლაბორატორიები იქნებოდა აღჭურვილი თვალსაჩინოებებით, ანატომიური და ჰისტოლოგიური პრეპარატებით, ფანტომებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ევაკუაციის გეგმა შეიცვლებოდა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა შემსრულებლის დაფიქსირება. სამედიცინო ოთახი სათანადოდ იყო აღჭურვილი. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ კომენდატან გაფორმდა ხელშეკრულება.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მეორე შენობის ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასწავლო პროცესის დაწყების შემთხვევაში გარემო იქნებოდა ადაპტირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა იყო საკმარისი სასწავლო კურსების შედეგების მისაღწევად. დოკუმენტაციის აღრიცხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტების აღრიცხვა მოხდებოდა აკადემიური წლით.

დასკვნაში მიითხებული იყო, რომ კონკურსი, რომელიც გამოცხადდა რექტორის 2014 წლის 5 ივლისის #02/54 ბრძანებით, არ იყო თანხვედრაში მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულიყო დოქტორანტიც, რაც ეწინააღმდეგებოდა იმ პერიოდში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციას. მაგრამ დასკვნაში არაფერი იყო ნათქვამი ამავე ბრძანების სხვა პუნქტებზე, რაც ეხებოდა პროფესორის და ასოცირებული პროფესორის არჩევას. ამ თანამდებობებზე არჩევა მოხდა კანონმდებლობის სრული დაცვით. რექტორის ბრძანება დაწესებულების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის წარმოადგენდა. აქტის ნაწილის ბათილობა არ იწვევდა ამავე სამართლებრივ აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ე.ი. რექტორის ბრძანების იმ პუნქტის ბათილობა,, რაც ეხებოდა ასისტენტ-პროფესორის არჩევას, ვერ გამოიწვევდა ამავე ბრძანების სხვა პუნქტების ბათილობას, რაც შეეხებოდა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის არჩევას. ამავე დროს,


G. Tskhishvili

მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოებაც, რომ სამართლებრივ აქტში ასისტენტ-პროფესორის არჩევის კრიტერიუმი იყო პროფესიული გამოცდილებაც, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს სასწავლო ლაბორატორიებთან დაკავშირებით, კერძოდ მას აინტერესებდა იყო თუ არა ლაბორატორია აღჭურვილი ყველა იმ ინვენტარით, რაც საჭირო იყო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო ლაბორატორიები ჰქონდა დაწესებულებას, თუმცა არ იყო აღჭურვილი შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით და არ იყო სრულყოფილად გამართული.

ავტორიზაციის ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა საბჭოს წინაშე, რომელი საგნობრივი კურსებისათვის იყო ლაბორატორიები განსაზღვრული. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლაბორატორიით სარგებლობდნენ სტომატოლოგიის და ფარმაციის პროგრამის სტუდენტები, კორპუსში იყო განთავსებული სტომატოლოგიური კლინიკაც და ასევე იყო ქიმიური ლაბორატორია, სადაც ფარმაციის სტუდენტები სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრაქტიკას გადიოდნენ. წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული იქნა შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ლაბორატორიის გამოყენება არ იყო შესაძლებელი სასწავლო მიზნებისათვის. რეალურად ლაბორატორია არსებობდა, თუმცა საჭიროებდა განახლებას. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ სასწავლო ლაბორატორია გამოუსადეგარი იყო და ის ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლას, სახეზე იყო ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა. შესაბამისად, დაწესებულებას უნდა ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება აფთიაქთა სადაც ხდებოდა წამლების დამზადება. ფარმაციის სტუდენტები აღნიშნულ აფთიაქში შეძლებდნენ ფრაქტიკული კომპონენტის შესრულებას.

ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორია არსებობდა თეორიულად, თუმცა იგი არ იყო ტექნიკურად გამართული და იქ არ მიმდინარეობდა მეცადინეობები. სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვილობის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფს გააჩნდა ფოტომასალა, რომელიც ერთვოდა დასკვნას. რაც შეეხებოდა ხელშეკრულებას აფთიაქსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის, იგი არსებობდა, თუმცა ვიზიტის განმავლობაში დაწესებულებამ ექსპერტებს ვერ დაათვალიერებინა ბაზა გაურკვევლი მიზეზის გამო.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს გადასცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა. სხდომაზე მოხდა დასკვნაზე თანდართული ფოტომასალის დათვალიერება.

სხდომის თავმჯდომარე აღნიშნა, რომ სამართლის მიმართულებით დასახელებული იქნა რამდენიმე ლექტორი, რომლებიც ფიქსირდებოდნენ აკადემიური პერსონალის ნუსხაში, მაგრამ რეალურად არ დადიოდნენ და არ ასწავლიდნენ დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამართლის პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტებულ რეჟიმში, ჯერ-ჯერობით სწავლა მიმდინარეობდა მხოლოდ პირველ და მესამე სემესტრში, შესაბამისად ლექტორებიც მოღვაწეობდნენ მხოლოდ მითითებულ ინტერვალში.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ პირადად იცნობდა ლექტორებს - ივანიძეს, მარიანიშვილს და მიგრიაულს, რომლებიც დღეს არსებული თავიანთი დატვირთვიდან გამომდინარე, ვერ შეძლებდნენ ზუგდიდში მდებარე სასწავლებელში სიარულსა და ლექციების წაკითხვას. შესაბამისად, მას აინტერესებდა მოცემულ ეტაპზე რამდენი აკადემიური პერსონალი ემსახურებოდა აღნიშნულ პროგრამას და რამდენი სტუდენტი სწავლობდა მასზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ სამართლის პროგრამაზე ჰქონდათ თვრამეტი სტუდენტი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გადამოწმების მიზნით, მათ მაგალითად შემდეგ ლექტორებთან ჩაატარეს სატელეფონო გასაუბრება - არჩილ ლორია, გოჩა ფიფა, ნანა თოდუა და სხვები. ლექტორებმა განაცხადეს, რომ მაქსიმალურად შეეცდებოდნენ მოხერხებინათ ზუგდიდში ლექციების წაკითხვა, მათი ლექციები ძირითადად განსაზღვრული იყო მეორე, მესამე და მომდევნო სემესტრებში და ყველას პასუხი გახლდათ ის რომ ისინი აპირებდნენ უნივერსიტეტთან თანამშრომლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა საგანმანათლებლო პროგრამების მიღევად რეჟიმთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება. კერძოდ, მან განაცხადა, რომ მიღევადი რეჟიმის ცნება მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობდა. შესაბამისად, საავტორიზაციო განაცხადში ასახულ ყველა პროგრამას, მიუხედავად მიღევადი რეჟიმისა, უნდა დაეკმაყოფილებინა ავტორიზაციის ყველა სტანდარტი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანამ მიღებული იქნებოდა საბოლოო გადაწყვეტილება მას ჰქონდა სურვილი მადლობა გადაეხადა ექსპერტებისათვის, რომლებმაც მათ დაანახეს მათ უნივერსიტეტში არსებული კრიტიკული სურათი. ის პროგრამები რომლებზეც მათ ჰქონდათ შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები გახლდათ სამი საბაკალავრო პროგრამა, (ქართული ფილოლოგია, ბიზნესის ადმინისტრირება და სამართლის საბაკალავრო პროგრამა). დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ზუგდიდის რაიონის ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულთა უმრავლესობა გახლდათ მათი კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა 1991 წლიდან, ყოველთვის ითვალისწინებდნენ სტანდარტებს და ეტაპობრივად გადიოდნენ ავტორიზაცია-აკრედიტაციას. გარე თვალისსაფარი ექსპერტების მიერ ასახული სურათი გახლდათ ძალიან მძიმე, თუმცა უნივერსიტეტში იყო სრული მზაობა წარმატებით განეხორციელებინათ პროგრამები. თუ საბჭო გადაწყვეტდა პროგრამების მიღევად რეჟიმში განთავსებას, რაც გამოიწვევდა მათ საბოლოო დახურვას.

16: 25 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 16:35 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის ყველა სტანდრტთან მიმართებით სახეზე იყო არსებითი ხასიათის ხარვეზები, რაც დაწესებულების წარმომადგენელთა საუბრიდანაც ჩანდა, რომ აღნიშნული ხარვეზები ნამდვილად არსებობდა. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ არსებითი ხარვეზები იყო დაფიქსირებული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური რესურსისა და ადამიანური რესურსის ნაწილში. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონოდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის სასწავლო ლაბორატორიები. ასევე, არსებით საკითხს წარმოადგენდა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან დაფიქსირებული შენიშვნები. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხირდან მუდმივად ხდებოდა აპელირება იმ კუთხით, რომ ავტორიზაციის განმეორებით მინიჭების შემთხვევაში აღნიშნული საკითხები მოგვარდებოდა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, როდესაც განიხილებოდა დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი, ხარვეზები უნდა ყოფილიყო უკვე გამოსწორებული. სამწუხაროდ ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების მხრიდან არ გამოიკვეთა ხელმოსაჭიდი გარემოება, რომლის გამოც საბჭოს მიიღებდა დადებით გადაწყვეტილებას. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი, თუ კი ავტორიზაციის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ერთ-ერთს სტანდარტსაც კი, საბჭოს უნდა მიეღო უარყოფითი გადაწყვეტილება. ამასთან, ავტორიზაციის დებულების თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ, შესაბამისად,

საბჭო ვერ გაითვალისწინებდა იმ დოკუმენტაციას, რაც დაწესებულებამ შეიმუშავა ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რაც შეეხებოდა იმ სტუდენტებს, რომლებიც მიღებულნი იყვნენ პროგრამებზე და მათ წინაშე დაწესებულებას ეკისრებოდა ვალდებულება, აუცილებელი იყო მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან დაწესებულებაში ირიცხებოდნენ სტუდენტები და თუ დაწესებულებას უარი ეთქმებოდა ავტორიზაციის მინიჭებაზე, სტუდენტებს შეუჩერდებოდათ სტუდენტის სტატუსი ხუთი წლის განმავლობაში და აღნიშნულ შემთხვევაში მათ ეძლეოდათ უფლება ესარგებლათ მობილობის უფლებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ : 219988770) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 16:45 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე